გაუმარჯოს 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ერთიანობისა და ძმობის დღეს!

ნახ. გ. იაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 85
(3315)

1

1967 წ.
მაისი,
ორშაბათი,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
28-ე წელი

რეკორდები სამაისოდ

თბილისელმა მოცურავეებმა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — 1 მაისს მიუძღვნეს საქართველოს ახალი რეკორდები, რომლებიც ქალაქის სპარტაკიადის მსვლელობისას „დინამოს" 25-მეტრიან აუზში დაამყარეს.

პირველი რეკორდის ავტორია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის შ. მუსასტიკოვის აღსაზრდელი, სპორტკლუბ „გამარჯვების" გუნდის წევრი ა. არტამონოვი. 100 მ თავისუფალი სტილით მან 57,5 წამში გაცურა. მეორე რეკორდი დაამყარა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ა. საფრონოვის მოწაფემ ნ. ჟიგალიოვამ, რომელმაც 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 6.05,4 აჩვენა.

სამი რესპუბლიკური რეკორდის ავტორები არიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. იოაკიმიდის აღზრდილები. დინამოელთა კვარტეტმა (ა. იოაკიმიდი, ვ. ჩოლარია, ც. ქარბაძე, ბ. ნიკიტინი) ესტაფეტა 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით 9 წუთსა და 7,6 წამში გაცურა. ა. იოაკიმიდიმ ამის მერეც ისახელა თავი: 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვისას 800 მეტრიც სარეკორდო დროში (9.41,3) დაფარა და 1.500 მეტრიც — 18.20,5.

135 ქულით

სოჭში სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ოლიმპიელი მძლეოსნების შეჯიბრებაში 80 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებისა და საქართველოს ახალი რეკორდის დამყარებისთანავე სპარტაკელმა ლ. იევლევამ საქალაქო სპარტაკიადაში თავისი კოლექტივის ღირსების დასაცავად თბილისს მოაშურა და შესანიშნავადაც ისპარეზა. ჯერ 80 მეტრზე თარჯრბენში ერთხელ კიდევ გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას (10,9), მერე სიგრძეზე ხტომაში ისახელა თავი (615 სმ), აქაც ოსტატის ნორმა აჩვენა და ბოლოს, ხუთჭიდში გაგვახარა — საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 4680 ქულა (ეს შედეგი 135 ქულით აღემატება მისსავე ძველ რეკორდს, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში აჩვენა მოსკოვში).

უინტერესო არ იქნება, თუ მოვიყვანთ ძველი და ახალი რეკორდების დამყარებისას იევლევას მიერ მოპოვებულ შედეგებს ხუთჭიდის ცალკეულ სახეობებში: 80 მ თარჯრბენი — 11,0 (1963 წელს) და 10,9 (წლეულს); ბირთვის კვრა — 11,39 და 12,85; სიმაღლეზე ხტომა — ორივეჯერ 150 სმ; სიგრძეზე ხტომა — 587 და 595; 200 მ რბენა — 26,0 და 25,6.

ხუთჭიდში იევლევას ახლანდელი რეკორდი მხოლოდ 70 ქულით ჩამორჩება საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმას.

რეკორდის დამყარების მერე რეკორდსმენის მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ე. გოკიელს ვთხოვე მოეთხრო სპორტსმენის გეგმებზე.

აი, რა თქვა მან:

— ლიუდა შესანიშნავადაა მომზადებული და სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადამდე, ალბათ, კიდევ გაგვახარებს ახალი რეკორდებით — ან ბაქოში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მატჩში, ან საქართველოს სპარტაკიადაში...

ო. ივდოშვილი.

მიმდინარეობს
50 საიუბილეო სპარტაკიადა

ჩემპიონთა გუნდი — ჩემპიონი

მოჭადრაკეთა გუნდური პირველობის II ტურში ერთმანეთს შეხვდნენ „განთიადი" — „ბურევესტნიკი" და „დინამო" — „სპარტაკი".

ბურევესტნიკელებმა კვლავ გაიმარჯვეს — 4:3. განთიადელმა გ. ბუცხრიკიძემ დიდი ბრძოლა გაუმართა ნ. გაფრინდაშვილს, რომელსაც ხარისხი მოუგო, მაგრამ შეხვედრის ბოლოს მსოფლიო ჩემპიონმა ფიგურა შესწირა მეტოქეს და მუდმივი ქიში გამოუცხადა. მოულოდნელი იყო ა. ბოკუჩავას მარცხი განთიადელ ჯ. მუკნიაშვილთან.

ნ. ალექსანდრიამ მოუგო ნ. ხუბულურს, ვ. კახაბრიშვილმა — ნ. მანველოვას. გუნდის ლიდერთა გ. კალატოზიშვილ — რ. ჯინჯიხაშვილის, ა. ბლაგიძე — თ. გიორგაძისა და ნ. სოროკინ — თ. ლომაიას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

ძლიერად ითამაშეს დინამოელებმაც. გ. დავითაშვილმა მოუგო ბ. გურგენიძეს, ხოლო ს. ივანოვამ — ა. ჩაიკოვსკაიას, დინამოელთაგან დამარცხდნენ ა. ბუსლაევი (დ. ჯანოევთან) და ც. კობაიძე (მ. კაჭარავასთან). დინამოელმა ე. უბილავამ მოუგო დ. ექვთიმიშვილს. ი. ჩიქოვანი — ე. მიქაელიანისა და მ. ლოლიშვილი — ლ. ნაჭყებიას შეხვედრები ყაიმით დასრულდა. მატჩი მოიგო „დინამომ" — 4:3.

III ტურში „ბურევესტნიკისა" და „დინამოს" შეხვედრაში მატჩის მოგებისთვის საკმარისი იყო ბურევესტნიკელების — ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვება ს. ივანოვასთან და ნ. ალექსანდრიასი — ც. კობაიძესთან.

ყველა დანარჩენი პარტია (რ. ჯინჯიხაშვილი — ე. დავითაშვილი, თ. გიორგაძე — ა. ბუსლაევი, თ. ლომაია — ი. ჩიქოვანი, ა. ბოკუჩავა — ე. უბილავა და ც. კახაბრიშვილი — მ. ლოლიშვილი) ზავით აღინიშნა. მატჩის ანგარიშია 4,5:2,5 სტუდენტთა გუნდის სასარგებლოდ.

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა „სპარტაკ" — „განთიადის" შეხვედრაში, რომელიც ყაიმით დასრულდა — 3,5:3,5.

აი, შედეგები დაფების მიხედვით: ბ. გურგენიძე — გ. კალატოზიშვილი 0,5:0,5, დ. ჯანოევი — ა. ბლაგიძე 1:0, ე. მიქაელიანი — ნ. სოროკინი 0:1, დ. ექვთიმიშვილი — ჯ. მუკნიაშვილი 0,5:0,5, ა. ჩაიკოვსკაია — ი. კამენკოვიჩი 1:0, ლ. ნაჭყებია — ნ. მანველოვა 0,5:0,5, მ. კაჭარავა — ნ. ხუბულური 0:1.

ამრიგად, ტურნირი დამთავრდა „ბურევესტნიკის" გამარჯვებით — 12,5 ქულა. ამ გუნდში, როგორც ცნობილია, გამოდიოდნენ ჩემპიონები — მსოფლიოსი (ნ. გაფრინდაშვილი), სსრ კავშირისა (ნ. ალექსანდრია) და საქართველოსი (რ. ჯინჯიხაშვილი, ც. კახაბრიშვილი).

II ადგილი დაიკავა „დინამომ" — 10,5. III–IV ადგილები გაიყვეს „განთიადმა" და „სპარტაკმა" (9,5:9,5).

თბილისის საქალაქო...

ოლიმპიური კომორგების საბჭო

მოსკოვი, 29 აპრილი. ორი დღე ბჭობდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდების კომორგები სემინარზე, რომელიც საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო. ყურადღების ცენტრში სპორტსმენთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხი იდგა. შეკრებილთ გამოცდილება გაუზიარეს კომორგებმა: მოკრივეთა ნაკრებისა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. პოპენჩენკომ, მოცურავეებისა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. პროზუმენშჩიკოვამ, მოფარიკავეებისა — მსოფლიო ჩემპიონმა გ. გოროხოვამ და სხვ.

სიტყვებით გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. ზუბკოვი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ჩესნავიჩუსი, საკავშირო სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ხომენკოვი.

სემინარის მონაწილენი შეხვდნენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ს. პავლოვს.

[illegible]

რუსეთის ვარსკვლავისებური ესტაფეტა

ვლადივოსტოკი, 29 აპრილი. გუშინ აქ სტარტი აიღო „შრომითი რეზერვების" ვარსკვლავისებურმა ესტაფეტამ, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს ეძღვნება. ლენინის ძეგლთან, მიტინგზე თავი მოიყარეს მომავალმა მექანიზატორებმა და რკინიგზელებმა, მშენებლებმა, მკერავებმა, მეფეხსაცმელეებმა... მათ გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლაში დაცემულ გმირთა საფლავები.

როგორც საკლესის კორესპონდენტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში აცნობეს, ვლადივოსტოკის სტარტი მხოლოდ პირველი სხივია ესტაფეტისა. უფრო გვიან მას შეუერთდება სხივები კურგანიდან, გროზნოდან, ბელგოროდიდან და მურმანსკიდან. ფინიში მოეწყობა 21 ივლისს მოსკოვში, „შრომითი რეზერვების" საკავშირო შეკრებაზე დედაქალაქში ბაიდარებით, ველოსიპედებით, მატარებლით, გემებით ჩავლენ და თავიანთ პატაკ-ვალდებულებებს ჩაიტანენ ქვეყნის მუშათა გვარდიის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

ქართლის გული - ოქ

იუბილეს — ღირსეული შეხვედრა!

გორი იმთავითვე იყო განთქმული სპორტული სანახაობებით. აქ გახლდათ თავშესაყარი ჩვენში ცნობილი ფალავნებისა და მოკრივეებისა. ჩვენი ახალგაზრდა თაობა ახლაც ხათუთად ინახავს წინაპართა კარგ ტრადიციას. ეს განსაკუთრებით ითქმის მოჭიდავეებზე. თუ წინათ მხოლოდ მეზობელი რაიონებიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიოდნენ სასპარეზოდ, ახლა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდანაც ხშირად გვყავს სტუმრები.

ჩვენში უდიდესი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს, — საბჭოთა ადამიანის კომუნისტურად აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას. პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს დადგენილება, რომლის მიზანი ერთია: მკვეთრი ბიძგი მისცეს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, აქციოს იგი ყოველი საბჭოთა ადამიანის მეგობრად. რით ვუპასუხეთ ამ დადგენილებას? სპორტის მასობრიობისთვის, ბაზების სიუხვისა და ორგანიზაციული მუშაობის სწორად წარმართვისთვის ბრძოლით.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტმა და აღმასკომმა დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად დროულად დასახეს პრაქტიკული ღონისძიებები. სწორედ ამის ნაყოფია, რომ ოქტომბრის საიუბილეო თარიღისთვის ქალაქს 50-ზე მეტი ახალი სპორტული მოედანი დაამშვენებს. ეს ბაზები მოეწყობა ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, სკოლებში, ეზოებში...

ყველაფერი მასობრიობისთვის

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი ესაუბრა გორის სპორტკავშირის თავმჯდომარეს გ. მეყანწიშვილს.

● **გვითხარით, რა მუშაობა გასწია შარშან გორის სპორტკავშირმა და როგორ ემზადებით საიუბილეო სპარტაკიადისთვის?**

— შარშანდელი წლით კმაყოფილი ვართ. ფიზკულტურელთა რიცხვმა 12.682-ს მიაღწია, ჩავატარეთ 80-ზე მეტი ასპარეზობა, რომლებშიც 8000 კაცი მონაწილეობდა, მოვამზადეთ საქართველოს სსრ 12 სპორტის ოსტატი, 97 პირველთანრიგოსანი, 1480 მეორე და მესამეთანრიგოსანი. ჩვენი 12 სპორტსმენი რესპუბლიკის ღირსებას იცავს. მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც ნაკრებ გუნდებს ეკუთვნით და ჩვენც მათ ყველა პირობას ვუქმნით საიუბილეო სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლისთვის.

● **უმთავრესად რაზე ამახვილებთ ყურადღებას მასობრივფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში?**

— ყურადღებას მოითხოვს ამ მუშაობის ყოველი უბანი. მთავარ მნიშვნელობას კი, რა თქმა უნდა, მაინც მასობრიობას ვანიჭებთ. ეს საშუალებას გვაძლევს რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩავაბათ ფიზკულტურულ მეცადინეობაში, გამოვავლინოთ და შევარჩიოთ ნიჭიერი სპორტსმენები, მოვამზადოთ მეტი თანრიგოსანი, უკეთ ვიზრუნოთ მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის.

● **რა მიგაჩნიათ სპორტის აგიტაციის უკეთეს საშუალებად?**

— ჩვენ, მაგალითად, უპირატესობას ვანიჭებთ სახელოვან სპორტსმენებთან შეხვედრებსა და საჩვენებელ გამოსვლებს, შეჯიბრებებს. კარგია, რომ გორში ხშირად იმართება საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრები. ფართოდ ვიყენებთ ადგილობრივ პრესას. წლეულს სისტემატურად მოეწყობა სპორტული საღამოები და ლექცია-მოხსენებები.

● **რა დახმარებას უწევენ სპორტკავშირს კომკავშირული ორგანიზაციები?**

„ლელო"
ინტერვიუ

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს წარმატებაში კომკავშირელთა დიდი წვლილიცაა. უმთავრესად სწორედ მათს მხრებზე გადადის ქალაქში ახალი სპორტული ბაზების მშენებლობის საქმე. კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო ბრიგადის სახელისთვის. გადაწყვეტილი გვაქვს, რომ კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძალებით ავაგოთ საცურაო აუზი, სპორტდარბაზი.

● **რა ღონისძიებებს ატარებთ საიმისოდ, რომ თქვენში სპორტის ყველა სახეობა იყოს დანერგილი?**

— ჩვენში დღემდე ჩამორჩება საწყლოსნო სახეობებში, ფარიკაობა, სასტენდო სროლა, თანამედროვე ხუთჭიდი, ცხენოსნობა. სპარტაკიადაში ამ სახეობებში ვერ ვიასპარეზებთ. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ნაკლია და ჩვენც გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ ამ სერიოზული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

● **როგორ დგას ბავშვებში მუშაობის საქმე?**

— ეს საკითხი პარტიის საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის მსჯელობის საგნადაც იქცა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრივ უკვე მივაღწიეთ საგრძნობ წარმატებას. გაუმჯობესდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობა. ვაპირებთ სექციების ჩამოყალიბებას საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ქალაქის ბავშვთა სპორტსკოლაში 500-მდე მოზარდი მეცადინეობს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ტანმოვარჯიშეები. შარშან მათ II ადგილი დაიკავეს პიონერთა რესპუბლიკურ თამაშებში და 5 მოსწავლე არტეკის უფასო საგზურით დაჯილდოვდა.

კარგად გვაქვს შეგნებული

ჩვენს კომბინატში პირველად ფეხბურთისა და ფრენბურთის სექციები ჩამოყალიბდა. ეს იყო 1951 წელს. მას შემდეგ კოლექტივი თანდათან გაიზარდა, ფართოდ გაიშალა ფიზკულტურული მუშაობა.

ახლა საწარმოში მოსაქმე 4000 კაცი „განთიადის" წევრია, მათგან 8 სპორტის ოსტატია, 1 ოსტატობის კანდიდატი, 118 — პირველთანრიგოსანი და სხვ. მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გაჩაღდა. წარმატება განაპირობა ბაზების კეთილმოწყობამ, სექციების სიმრავლემ და ღონისძიებების ხშირად ჩატარებამ. საწარმოო ტანვარჯიშში 3886 მშრომელია ჩაბმული, 189 კაცი კი გამაჯანსაღებელ ჯგუფებში ვარჯიშობს.

კომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივმა გაზრდილი ვალდებულებები აიღო ოქტომბრის საიუბილეო თარიღის ღირსეულად შესახვედრად. შრომასა და სპორტში წარმატებით აღნიშნავენ სახელოვან იუბილეს მეორეთანრიგოსანი ფრენბურთელი, მქსოველი დ. თაბაგარი, ოსტატობის კანდიდატი სამბოში, მტვირთავი ვ. ფალელაშვილი, პირველთანრიგოსანი ველოსიპედისტი, მერემონტე ჯ. ცერცვაძე, მეორეთანრიგოსანი მძლეოსანი, ძაფის მართფხვეველი ტ. სოლოვიოვა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოჭადრაკე, ქვეოსტატი კ. ბესტავაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, ფრენბურთელი ნ. ჩერქეზიშვილი და სხვ.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მუშაობაში ნაკლი არა გვაქვს. ამას წინათ საქართველოს სპორტკავშირში იმსჯელეს კიდეც ჩვენს ფიზკულტურულ კოლექტივში არსებულ ხარვეზებზე და დაგვისახეს მათი აღმოფხვრის გზები. ბუნებრივია, ძალ-ღონეს არ დავზოგავთ და ვეცდებით უახლოეს ხანში კიდევ უფრო ნაყოფიერი გავხადოთ ჩვენი საქმიანობა. ფიზკულტურისა და სპორტის ჩაყენება ხალხის სამსახურში ხომ უაღრესად მნიშვნელოვანი რამაა და ჩვენ ეს კარგად გვაქვს შეგნებული.

ნ. დვალი,
გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

სადღეისო ამოცანათა სადა

როცა მოზარდი თაობის აღზრდის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ფიზკულტურასა და სპორტს ვასახელებთ, ვგულისხმობთ, რომ იგი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. სწორედ ამის გამო საკამათოდ აღარ მიგვაჩნია, რომ ფიზაღზრდის მასწავლებელს დიდი ცოდნა, თავდადება და ენერგია მოეთხოვება.

სპორტის პროპაგანდისთვის მარტო სიტყვიერი ზემოქმედება როდი კმარა. სპორტი თავადაა გატაცების საგანი და ჩვენც ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ იგი აუცილებელ მოთხოვნად ვაქციოთ მოზარდებისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ახალ პერსპექტივებზე.

ჩვენ, მაგალითად, ასე მოვიქეცით: აკადემიურად ჩამორჩენილებსა და უდისციპლინობაში შემჩნეულთ ჩავუკეტეთ გზა სპორტულ სექციებში, არც სასკოლო და საქალაქო პირველობებში მივაღებინეთ მონაწილეობა. ამან თანდათან გამოიღო სასურველი ნაყოფი — ამაღლდა აკადემიური წარმატების დონე, იკლო უდისციპლინობის შემთხვევებმა. ამას გარდა, თუ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში 267 ფიზკულტურელი იყო, ახლა 583 გვყავს. მოსწავლეები მეტი მონდომებით ეკიდებიან სექციურ მუშაობას.

ჩვენი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ მოაწყობ შეჯიბრებას. ამიტომ სკოლაში ყველა გუნდსა და კლასს თავისი სპორტული ფორმა აქვს. გამარჯვებულ გუნდებსა და მოსწავლეებს საზეიმოდ ვაჯილდოებთ. ყოველივე ეს წარმატებას უწყობს ხელს. ჩვენები კარგად გამოვიდნენ საქალაქო სპარტაკიადაში. 8 სახეობიდან ორში I, ორში — II და სამში — III ადგილი დაიკავეს და საბოლოოდ, პირველობა დაისაკუთრეს საერთო გუნდურ ჩათვლაში.

ბაზების კეთილმოწყობა ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია. ვიდრე ბავშვები დარბაზში ვარჯიშობდნენ, ღია მოედნები და მძლეოსნური სექტორები მოვაწესრიგეთ, ახლა კი დარბაზის შეკეთება დავიწყეთ.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ერთ მეტად მტკივნეულ საკითხზე. ის გარემოება, რომ დაწყებით კლასებში ფიზკულტურის გაკვეთილებს არასპეციალისტები ატარებენ, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. V კლასში, მაგალითად, ცოტა დროს როდი ვხარჯავთ იმ ელემენტარულ მოძრაობათა სწავლებისათვის, რაც ბავშვებმა დაბალ კლასებში უნდა აითვისონ. ეგეც არ იყოს, მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული ფიზიკური აღზრდა ხომ ადრეული ასაკიდანვე უნდა იწყებოდეს.

მეორეც: ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება ფიზკულტურის გაკვეთილებიდან გათავისუფლებულ მოსწავლეებთან მუშაობის საკითხი. ამ საქმეში ნაკლებად გვეხმარებიან ექიმები, რომლებიც მხოლოდ ავადმყოფობის ცნობის გაცემას სჯერდებიან. ამ ბავშვებთან კი განსხვავებული, ერთობლივი მუშაობაა საჭირო, ვინაიდან ფიზიკური ვარჯიში შესაბამისი დატვირთვით არახოდეს არაა საზიანო. ჩვენ, მაგალითად, ფიზიკუ-

ველოსპორტის აღორძინება გორში მას შემდეგ დაიწყო, რაც პარტიის საქალაქო კომიტეტმა სპარტაკიადისთვის მზადების საკითხი განიხილა. ქალაქის ბევრმა ორგანიზაციამ შეიძინა ველოსიპედები, სპორტული ფორმა. და, რაც მთავარია, ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში ჩამოყალიბდა ველოსექცია.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ველოსიპედისტები ვარჯიშისას.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

ასეა ყოველდღე

ქალაქში ყველაზე ადრე სტადიონის ქუჩა იღვიძებს. № 8 სახლის ეზოდან უთენია გამოეფინებიან ფიზკულტურელები, ახალ ხიდამდე სირბილით მივლენ და უკან ბრუნდებიან. ასეა ყოველ დილით. ამ რამდენიმე ხნის წინ ფიზაღზრდის მასწავლებელ ვ. ამბროლაძისა და წითელი ჯვრის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის შ. გეგეჭკორის თაოსნობით აქ შეიქმნა ეზოს ფიზკულტურული კოლექტივი. შემოიკრიბეს აქტივი, შეიძინეს სპორტული ინვენტარი და საქმეც დაწინაურდა. ეზოში მოაწყეს კომპლექსური ბაზა განათებით, სახლმმართველობამ ოთახები მისცა მოჭადრაკეებსა და მაგიდის ჩოგბურთელებს. ახლა მთელი ეზო ფიზკულტურულ საქმიანობაშია ჩაბმული. საღამოობით სპორტულ პაექრობაში ატარებენ თავისუფალ დროს, კვირაობით კი ყველა ტურისტულ ბილიკებზე გადის.

ამ მისაბაძმა თაოსნობამ მშვენიერი შედეგი გამოიღო. მალე სპორტული გუნდები მეზობელ ეზოებშიც შეიქმნა და სტადიონის ქუჩაზე აღარ ნელდება ასპარეზობის ჟინი, არ წყდება გულშემატკივართა ყიჟინა.

გ. თენგოშვილი.

ძიუდოს განვითარება და აღმავლობა გორში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გ. პაპიტაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მისი დაუღალავი მეცადინეობით „მსოფლიო ხალიჩაზე" ბევრი გორელი ათლეტი გამოვიდა.

ს უ რ ა თ ზ ე: გ. პაპიტაშვილი (მარცხნივ) სტუდენტებს — სპორტის ოსტატ ი. იმერლიშვილსა და პირველთანრიგოსან თ. თვაურს ახალ ილეთს ასწავლის.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

საოქტომბროდ ივალდებულეს

ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ფიზკულტურელებმა ივალდებულეს მოამზადონ 1 სპორტის ოსტატი, 12 პირველთანრიგოსანი, 192 მეორე და მესამეთანრიგოსანი, 15 მსაჯი, 70 ფიზორგი და ინსტრუქტორი. გაიმართება დიდი იუბილესადმი მიძღვნილი სპარტაკიადები, ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში ფალავნობაზე და ტურისტული ლაშქრობანი.

კომბინატში მოეწყობა უბრალო მოედნები, რეგულარულად გამოვა კედლის გაზეთი „შრომა და სპორტი".

შრომ
ნაყო

თუ დაიმსახურე, სიხარული უთუოდ მოვა. ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურულ კოლექტივს პირველად იგი ამ ოთხი წლის წინათ ეწვია. მაშინ გორელმა სტუდენტებმა უმაღლეს სასწავლებლებში საუკეთესო სპორტული კოლექტივის სახელი მოიხვეჭეს და „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრეს. დროშასთან ერთად ვინიციდან (მანამდე ამ ჯილდოს ვინიცის პედაგოგიური ინსტიტუტი ფლობდა) მოსალოცი ბარათიც მოვიდა. სხვათა შორის, იმასაც იწერებოდნენ, ყველაფერს ვიღონებთ, რომ დროშა დავიბრუნოთო. გავიდა კიდევ ერთი წელი, მეორე, მესამე, მეოთხე... გორელებმა დროშა არ დათმეს. არ დათმეს იმიტომ, რომ კვლავ მოწინავენი არიან, კვლავ ბევრჯერ ისახელეს თავი შინ თუ გარეთ.

გორელ სტუდენტთა ფიზკულტურული ორგანიზაცია მრავალრიცხოვანი როდია, მაგრამ აქაურები მაინც I ჯგუფის კოლექტივებთან ასპარეზობენ. ინსტიტუტს ჰყავს ქალაქის ჩემპიონები და... მსოფლიო პირველობის პრიზიორები. გორელები ხშირად სტუმრობენ და მას-

ომბერს

ობთ უფრო ფართოდ გავშალოთ მოსახლეობაში მასობრივ-ფიზ-
ურული და სპორტული საქმიანობა.

ქის პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს
ით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფიზკულტურულ კოლექტივებს.
ს საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა მოსწავლე ახალგაზრ-
ში ფიზკულტურული მუშაობის საკითხი და მიიღო სათანადო გადა-
ილება.

ჩვენი ქალაქის სპორტსმენები საქართველოს სპარტაკიადისთვის
ებიან. ამ საკითხს მიეძღვნა პარტიის ქალაქკომის ბიუროს ამასწი-
ლი სხდომა.

რის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დევიზია შემოქმედები-
ანხორციელონ პარტიისა და მთავრობის დადგენილება, ღირსეული
ვებით შეეგებონ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს.

შ. ბერიანიძე,
საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.



პირველთანრიგოსან მოჭადრაკე შ. თოთლაძეს ბევრჯერ უთამაშია საქართველოს ჩემპიონატში. ამავე დროს, იგი ნაყოფიერად ამეცადინებს გორელ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს.

ს უ რ ა თ ზ ე: შ. თოთლაძე თვალყურს ადევნებს მეორეთანრიგოსან ე. ვახტანგაშვილისა (მარცხნივ) და ქალაქის ჩემპიონის, პირველთანრიგოსან ლ. ზუმბაძის თამაშს.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

ხოზე

მოსწავლეებს გაკვეთილის
ლში ვავარჯიშებთ, შემდეგ
რაიმე ორგანიზაციულ სა-
თ. მაგრამ ეს, ცხადია, საკ-
არის.

ვ. ამბროლაძე,
ულო სკოლის ფიზალ-
მასწავლებელი.



ს
ი

6 მოსკოვის ბაუმანის სა-
უმაღლესი ტექნიკური
ლის სპორტსმენებს. ხში-
ალ დონეზე ტარდება
ეშტივო შეჯიბრებები.
ო. მაგალითად, ინსტიტუ-
ა XV საიუბილეო სპარ-
ატარდა, — სტუდენტე-
ეობაში ასპარეზობდნენ.
ებელში დიდი ყურადღე-
მასობრივ ფიზკულტუ-
ანსალებელ საქმიანობას.
შავი ზღვის სანაპიროზე
ეთარი გამაჯანსაღებელი

ლო საზოგადოების წევ-
ტუტის თითქმის ყველა
სტუდენტებსა და მას-
ბს განსაკუთრებით უყ-
ობში და როცა მთელი
სალაშქროდ გადის, მე-
უთუოდ რექტორსაც
თვალს.

ინსტიტუტს 30 წელი-
რულდა, გაისად კი შეს-
ამდენივე წელი იმ დღი-
სტუდენტთა ფიზკულტუ-
ექტივს სათავეში უდგას
რექტორი გ. ხარაუ-

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

შარშან...

ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მომზადდა სსრ კავშირის 2 და საქართველოს 9 სპორტის ოსტატი.

ინსტიტუტის სამბისტებმა ზედიზედ მეოთხედ დაისაკუთრეს „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა.

სტუდენტ-ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობაში გორელებმა რ. მაღალთაძემ და ვ. ბაღაკაშვილმა ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს, ხოლო ა. ქიბროწაშვილმა და ვ. ბორჩაშვილმა — ბრინჯაოსი. სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ა. ქიბროწაშვილმა, საქართველოს ჩემპიონობა — თერთმეტმა სტუდენტმა.

ქალაქის პირველობა დაისაკუთრა ინსტიტუტის თოთხმეტმა გუნდმა.

წლეულს...

სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში შედის 2 სტუდენტი, „ბურევესტნიკის" საკავშირო ნაკრებში — 6, ხოლო რესპუბლიკურ ნაკრებში — 14 სპორტსმენი.

გორის ნაკრებში გამოდის 93 სტუდენტი. ინსტიტუტის სპორტკლუბი საზოგადოებრივ საწყისებზე ამეცადინებს 73 მოზარდს.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელების მ. გერშკოვიჩისა და ვ. კოზლოვის საკითხი, რომლებმაც დაუკითხავად დატოვეს თავიანთი კოლექტივი და, მიუხედავად ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მითითებისა, არ დაუბრუნდნენ მას. მ. გერშკოვიჩსა და ვ. კოზლოვს დისკვალიფიკაცია მიეცათ 2-2 წლით.

ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა დისციპლინის დარღვევათა საკითხებზე. მოსკოვის „სპარტაკის" მატჩებში მინდვრიდან გაძევებულ იქნენ გ. ლოგოფეტი, ვ. ევლენტიევი და ვ. იანკინი. მაგალითად, ამ უკანასკნელმა განზრახ ფეხი მოარტყა მოწინააღმდეგეს. ამ ფეხბურთელთა მიმართ მიღებულია შესაბამისი ზომები.

კიევის „დინამოს" მცველი ვ. შჩეგოლკოვი შემჩნეულ იქნა დისციპლინის უხეში დარღვევაში. იგი დისკვალიფიცირებულია 2 კალენდარული თამაშით და პირობითად — წლის ბოლომდე. თუ მომავალში შჩეგოლკოვი მიიღებს სამ გაფრთხილებას ან გაძევებულ იქნება მინდვრიდან, მას უფლება აღარ ექნება ითამაშოს საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში.

განხილულ იქნა, აგრეთვე, ტაშკენტის „პახტაკორის" კაპიტნის გ. კრასნიცკის საკითხი, რომელიც ერთ-ერთ მატჩში სისტემატურად ეკამათებოდა მსაჯს და დემონსტრაციული საჩივრით მიმართავდა.. ტრიბუნებს. კაპიტანს მკაცრი გაფრთხილება მიეცა.

სსრ კავშირის პირველობა

ხუთი მატჩი

„ა" ჯგუფი II ჯგუფი

„ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდების მორიგი მატჩები ასე დამთავრდა: „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „თერგი" (გროზნო) 0:0, „რუბინი" (ყაზანი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 2:1, „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 1:0, „დინამო" (ტალინი) — „დინამო" (კიროვაბადი) 0:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა I მაისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ყუბანი" (კრასნოდარი)	6	4	1	1	6—2	9
„თერგი" (გროზნო)	6	2	4	0	5—0	8
„მეშახტე" (ტყიბული)	6	2	4	0	6—2	8
„დინამო" (კიროვაბადი)	6	3	2	1	6—3	8
„სპარტაკი" (გომელი)	6	2	4	0	4—2	8
„რუბინი" (ყაზანი)	6	2	3	1	5—4	7
„დინამო" (სტავროპოლი)	6	2	3	1	4—4	7
„დაუგავა" (რიგა)	5	2	2	1	6—1	6
„ტრაქტორი" (ვოლგოგრადი)	5	2	2	1	4—2	6
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	6	2	2	2	8—9	6
„ლოკომოტივი" (თბილისი)	6	1	3	2	6—6	5
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	6	1	3	2	3—4	5
„დინამო" (ბათუმი)	6	1	3	2	4—6	5
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	6	1	3	2	2—5	5
„სპარტაკი" (ნალჩიკი)	6	1	3	2	2—6	5
„ბალტიკა" (კალინინგრადი)	6	2	1	3	4—10	5
„დინამო" (ლენინგრადი)	5	1	2	2	5—4	4
„შირაკი" (ლენინაკანი)	5	0	4	1	0—1	4
„როსტსელმაში" (როსტოვი)	6	0	3	3	3—6	3
„დინამო" (ტალინი)	6	0	2	4	1—7	2

ფეხ
ბურ
თი 67

„ბ" კლასი IV ზონა

28 აპრილს საქართველოს ორ გუნდს გასვლითი მატჩი ჰქონდა. ლანჩხუთის „გურიამ" ერევანში მარცხი განიცადა ადგილობრივ „არაქსთან" შეხვედრაში — 2:4, ხოლო ზუგდიდის „ენგურმა" ფრედ ითამაშა ლერნაგორცის „კაფანთან" — 0:0.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „უროჟაი" (მაიკოპი) 0:0, „ლორი" (კიროვაკანი) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) 2:1, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 0:2.

გამარჯვება შეხვედრის მიწურულში

გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა უჩვეულო საფეხბურთო მატჩი. მწვანე მინდორზე ერთმანეთს შეხვდნენ „იზვესტიისა" და თბილისის „ჟურნალისტის" გუნდები. შეხვედრამ გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. მატჩის ბედი გადაწყდა მეორე ტაიმის მიწურულში, როცა თბილისის „ჟურნალისტის" ნაკრების თავდამსხმელმა კ. ღლონტმა ძლიერი დარტყმით უძნელესი ბურთი გაიტანა სტუმართა კარში — 1:0.

სპეციალური პრიზები დაიმსახურეს: საქართველოს სპორტკავშირისა — მატჩის საუკეთესო ფეხბურთელმა — ვ. ახლომოვმა („იზვესტია"), საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის — საუკეთესო მეკარემ — ნ. ფერაძემ („ჟურნალისტი"). გაზეთ „თბილისისა" — საუკეთესო მცველმა ე. ცერკოვერმა („იზვესტია"), გაზეთ „ლელოსი" — საუკეთესო ნახევარმცველმა — ნ. ებრალიძემ („ჟურნალისტი"), გაზეთ „კომუნისტის" — საუკეთესო თავდამსხმელმა — ი. გოლემბიოვსკიმ („იზვესტია"), გაზეთ „ლელოსი" — მოთამაშემ, რომელმაც გახსნა ანგარიში — კ. ღლონტმა.

დაწესებულ იქნა, აგრეთვე, პრიზებისიურპრიზები. გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" პრიზი — საუკეთესო სათადარიგო მოთამაშეს, რომელიც მინდორზე არ გამოსულა, გადაეცა გ. მეჰენგისერს („იზვესტია"), საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციისა — ყველაზე თავდადებულ მოთამაშეს — ა. დრუზენკოს („იზვესტია").

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სამახსოვრო პრიზი გადაეცა „იზვესტიის" გუნდს.

ზოგი რამ ქართული ტანვარჯიშის ისტორიიდან

1878-79 წლებში გაზეთ „დროებასა" და ჟურნალ „ივერიაში" ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი და სხვა ქართველი მოღვაწეები წერდნენ, თუ რაოდენ დიდი ალტაცება გამოიწვია ჩვენს მოწინავე ინტელიგენციაში ქართული პროგიმნაზიის გახსნამ. ამ პროგიმნაზიის სასწავლო წესდებით ტანვარჯიში სავალდებულო საგნად იყო მიჩნეული.

ტანვარჯიშს გვასწავლიდა დ. ჩხეიძე, სპორტის ამ სახეობის გარდა, პროგიმნაზიაში დანერგილი იყო ხელბურთი, ახტურმა, ლახტი, ქართული და ფრანგული ჭიდაობა და სხვ. ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ქართულმა საზოგადოებამ იყიდა რკინის ღერძი, საცოცი ხეები და კიბე, უსახელურო ტაიჭი და კუსტარული ორძელი.

1904 წელს გიმნაზიის დირექტორი ე. თაყაიშვილი გადადგა. მის მაგიერ ჯერ ისტორიის მასწავლებელი ი. რატიშვილი დაინიშნა, შემდეგ — შიო ჩიტაძე. გიმნაზია ერმოლოვის ქუჩაზე (ახლა შიო ჩიტაძის ქ.) გადაიტანეს.

1906 წლის 4 ივლისს ქართული გიმნაზიის შენობიდან ნასროლი ყუმბარით დაიჭრა პოლიციის სამმართველოს უფროსი მარტინოვი, იმავე დღეს ვერაგულად მოკლეს შიო ჩიტაძე. ძველ გიმნაზიაში კაზაკებმა გაანადგურეს და დაიტაცეს როგორც სპორტული იარაღები, ისე ბევრი ძვირფასი ნივთი. არსებულ შენობაში სწავლის გაგრძელება შეუძლებელი შეიქმნა და ნოემბრის თვეში სასწავლებელი ვაკეში გადავიდა (ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში).

გიმნაზიას აშენებდა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება, რომელიც იმ ხანად ფინანსურ კრიზისს განიცდიდა. ამიტომ მშენებლობა გაჭიანურდა, ერთიანად გადათხრილ ეზოში სამშენებლო მასალის ნარჩენები ეყარა. მოწაფეებს ვარჯიშის საშუალება აღარ ჰქონდათ.

ეს მდგომარეობა ძალიან აფიქრებდა გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს ა. მდივანს და მთელს პედაგოგიურ საბჭოს. 1908 წელს სწორედ მდივნის თაოსნობით, მოწაფეთა ძალებით გასუფთავდა ეზო, დაიდგა რკინის ღერძი და კუსტარული ორძელი. დირექტორისავე რჩევის შედეგად ბევრმა მოწაფემ (მათ შორის, ე. ინასარიძემ, მ. ჟურულმა, ა. ბაქრაძემ, გ. ლაფერაშვილმა...) დაიწყო ვარჯიში კერძო სატანვარჯიშო დარბაზში, სადაც გ. ეგნატაშვილი, გ. ბერელაშვილი და მე ვინსტრუქტორობდით. დარბაზის მოწყობა 1910 წელს დაიწყეს და 1911 წლის დამდეგისათვის იგი უკვე მზად იყო.

ყველა საკითხს ა. მდივანს უთანხმებდნენ, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოწაფეთა ფიზიკურ განვითარებას.

1912 წელს გაიმართა სატანვარჯიშო დილა, რომელსაც დაესწრო კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი თავისი მოხელეებით. მოვიდნენ ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების წევრები, მოსწავლეები, მშობლები, თბილისის ფართო საზოგადოებრიობა. ქართული გიმნაზიის ტანმოვარჯიშეები რთულ ნაირთ ილეთებს ასრულებდნენ, რითაც განაცვიფრეს დამსწრე საზოგადოება. დიდი მოწონება დაიმსახურეს შ. აგლაძემ, დ. ჯავრიშვილმა, ვ. ციციშვილმა, გ. ლაფერაშვილმა, ახალგაზრდებიდან — გ. მერკვილაძემ, ვ. ყაზბეგმა, ი. მაჭავარიანმა, ი. გედევანიშვილმა და სხვ.

ჩემი რჩევითა და შემდეგ ა. მდივნის დაჟინებული მოთხოვნით, ტანვარჯიშის მასწავლებლად გ. ეგნატაშვილი მოიწვიეს. სწორედ მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ საუკეთესო ტანმოვარჯიშეები: ა. ბაქრაძე, დ. ჯავრიშვილი, ვ. ციციშვილი, გ. მერკვილაძე, ი. მაჭავარიანი და ბევრი სხვა.

ტ. კუბლაშვილი.

ახალციხელ მოსწავლეთა საჩუქარი

პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირში გამარჯვებით ნონა გაფრინდაშვილმა უამრავი გულშემატკივარი შეიძინა. სხვებთან ერთად მას ქომაგობდნენ ახალციხის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის მოჭადრაკეთა წრის წევრებიც. შემდგომ ბავშვები დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს თავიანთი კერპის ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის, მის გამოსვლებს საერთაშორისო ტურნირში.

ერთხელ ნორჩმა მოჭადრაკეებმა ნონას სთხოვეს დაესახელებინა თავისი საყვარელი პარტია. მსოფლიო ჩემპიონმა იუგოსლაველ ოსტატ მ. ლაზარევიჩთან შეხვედრა (ვრნიაჩკა-ბანია, 1961 წ.) დაასახელა. ბავშვებმა ამ პარტიის ფინალური პოზიცია ტილოზე ამოქარგეს ფერადი ძაფებით.

ნორჩების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა თვითონ ნონა ეწვიათ ახალციხეში. ეს შარშან იყო, მაგრამ გულთბილი შეხვედრა პატარებს, ალბათ, არასოდეს დაავიწყდებათ.

ახლახან ახალციხელმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა ნონა გაფრინდაშვილს უბოძეს თავიანთი ნახელავი — ხალიჩა.

ვ. დათებაშვილი,
ახალციხის პიონერთა სახლის მოჭადრაკეთა წრის ხელმძღვანელი.



[illegible]

სტუმრების გამარჯვებით

გაიმართება უტრეხტში

თასი — „ბუმერსბახს“

● **ბუდაპეშტი,** 29 აპრილი. უნგრეთისა და რსფსრ-ს მოჭადრაკეთა ტრადიციული მატჩი სტუმრების გამარჯვებით აღინიშნა — 28,5:19,5. თვითეულ გუნდში გამოდიოდა 6 ვაჟი, 2 ქალი, 2 გოგონა და 2 ჭაბუკი. პირველ დაფებზე თამაშობდნენ დიდოსტატები ბ. სპასკი და ლ. პორტიში. შეჯიბრება ოთხ ტურად ჩატარდა.

● **ჰ ა ა გ ა,** 29 აპრილი. საბჭოთა წყალბურთელებმა მესამედ დაამარცხეს ჰოლანდიის ნაკრები. ამჯერად მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 7:3. ამ ორი ქვეყნის წყალბურთელთა მორიგი მატჩი გაიმართება უტრეხტში, „დენ ჰომელის“ აუზში, სადაც სსრ კავშირის ნაკრებმა შარშან პირველად მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის წოდება.

● **დორტმუნდი,** 29 აპრილი. გუშინ აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი ხელბურთელ ვაჟთა შორის. გფრ-ის გუნდმა „გუმერსბახმა“, რომელმაც ახლახან ნახევარფინალურ მატჩებში დაამარცხა მოსკოვის „კუნცევო“, მოუგო პრაღის „დუკლას“ — 17:13 (6:7).

კლეი არ მიდის ომში

ნ ი უ - ი ო რ კ ი, 29 აპრილი. მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონმა კასიუს კლეიმ (მოჰამედ ალიმ) 28 აპრილს დაკარგა თავისი წოდება. უძლეველმა კლეიმ დაკარგა ჩემპიონობა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ორთაბრძოლა წააგო რინგზე: მან უარი თქვა იმსახუროს ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში და განაცხადა, რომ არ გაემგზავრება სამშობლოდან 10 ათასი მილის დაშორებით ვიეტნამში მშვიდობიან მცხოვრებთა საჟლეტად.

28 აპრილს კლეი გამოიძახეს გასაწვევ პუნქტში — ჰიუსტონში (ტეხასის შტატი). მან გაიარა ოთხსაათიანი სამედიცინო შემოწმება. კომისიამ იგი სავსებით ჯანმრთელად ცნო. მაგრამ, როცა ჯარში სამსახურის ფიცის მიღების მომენტი დადგა, კლეიმ მტკიცე უარი თქვა შეესრულებინა ეს რიტუალი და განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებს შეერთებული შტატების არმიაში. პროფესიული კრივის საერთაშორისო ასოციაციამ ამის შემდეგ გამოაცხადა, რომ კლეის ჩამოერთვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. ასე, რინგზე უბრძოლველად, კლეიმ შეწყვიტა მსოფლიო ჩემპიონად არსებობა.

კლეის უარის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა გასცეს განკარგულება აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე კლეის წინააღმდეგ. სამხედრო გაწვევის კანონის თანახმად, კლეის ემუქრება 5 წლის პატიმრობა და ჯარიმა 10 ათასი დოლარის ოდენობით.

ზანგი კასიუს კლეი 25 წლისაა. 7 წლის წინათ მან ოქროს მედალი მოიხვეჭა რომის ოლიმპიადაში, რის შემდეგ პროფესიონალი გახდა და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივედ იქცა. „სამინელ“ ლისტონზე დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა მძიმეწონოსნებში. მან არაერთხელ ჩააგდო ნოკაუტში ფლოიდ პატერსონი — მსოფლიო ჩემპიონი წარსულში. ამას მოჰყვა ბრწყინვალე გამარჯვებები ბევრ შესანიშნავ მოკრივესთან“. კასიუს კლეი ახლა ყველა დროის შესანიშნავი მოკრივეა“, — წერდა, მაგალითად, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

რამდენიმე წლის წინათ, როცა კლეის ამერიკის არმიაში გაწვევამ მოუწია, მაშინ იგი საჭირო არ გახლდათ. მაგრამ შეერთებული შტატების მიერ სულ უფრო ფართოდ წარმოებულმა ომმა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ მეტი და მეტი „საზარბაზნე ხორცი“ მოითხოვა. 1965 წლის ბოლოს პრეზიდენტ ჯონსონის განკარგულებით მიიღეს ახალი კანონი, რომელიც წვევამდელთა კონტინგენტის გაფართოებას გულისხმობს. ერთ-ერთ ახალ კატეგორიაში მოჰყვა კასიუს კლეიც.

კლეის ბიოგრაფია, როგორც სპორტსმენისა და ადამიანისა, რთულია და წინააღმდეგობებით აღსავსე. იგი დაიბადა და გაიზარდა კენტუკის შტატში, ღარიბი ზანგის ოჯახში. და მხოლოდ სპორტში დიდმა ნიჭმა მას წარმატება და დიდება მოუტანა. მისმა მსოფლმხედველობამ რთული ევოლუცია განიცადა. რელიგიურმა შეხედულებებმა იგი ამერიკელ „შავ მაჰმადიანებთან“ მიიყვანა.

ბოლო დროს კლეი დაუმეგობრდა ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების მოძრაობის ხელმძღვანელებს მარტინ ლიუთერ კინგს, ფლოიდ ბ. მაკისიკის და სხვა საზოგადოებრივ მოღვაწეებს. მათთან დაახლოებამ კლეის ერთობ მომწიფებული პოლიტიკური შეხედულებები გამოუმუშავა.

კასიუს კლეიმ უკვე ერთი წლის წინათ სავსებით ცხადად ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება ვიეტნამში ამერიკის აგრესიისადმი. მან არაერთხელ განაცხადა, რომ ეს ომი სრულიად ეწინააღმდეგება მის მრწამსს. „თავიანთი საქმეები ვიეტნამელებმა თვადვე, სხვათა ჩაურევლად უნდა გადაწყვიტონ“, — ამბობდა იგი.

ჯერ კიდევ გასაწვევ პუნქტში გამოძახებამდე კასიუსმა განაცხადა, რომ არ მიიღებს მონაწილეობას ვიეტნამელთა წინააღმდეგ ომში.

რელიგიური მოსაზრებებით არმიაში სამსახურზე უარის გამართლებასა და საკუთარი მსოფლმხედველობის სისწორის დამტკიცებას კლეი ამერიკის სასამართლოში გამოცდილი იურისტების შემწეობით ცდილობდა, მაგრამ ამაოდ: მან ყველა ინსტანციაში უარი მიიღო. არმიაში სამსახურზე როცა უარს ამბობდა, კლეიმ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ამით დაკარგავდა რინგზე გამოსვლის უფლებას და მსოფლიო ჩემპიონის მილიონობით შემოსავალს.

28 აპრილს ჰიუსტონის გასაწვევ პუნქტში კლეიმ დაამტკიცა, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია. მან უარი თქვა ამერიკული არმიის ჯარისკაცის ფორმაზე, იმ არმიისა, რომელიც ვიეტნამში სახალხო მოძრაობას ახშობს.

გასაწვევ ნაწილში თავი მოიყარეს ახალგაზრდებმა, რომლებიც აქ მოვიდნენ თავიანთი კერპისთვის სოლიდარობის გამოსახატავად. გასაწვევი პუნქტი გარშემორტყმული იყო ანტისამხედრო პიკეტებით, რომლებიც მოითხოვდნენ ბოლო მოეღებოდა ამერიკელთა აგრესიას ვიეტნამში. დემონსტრანტთა შორის იყვნენ ზანგებიც და თეთრკანიანებიც. სამხედრო ხელისუფალთა თვალწინ რამდენიმე ჭაბუკმა დაწვა თავისი სამხედრო-სააღრიცხვო საბუთები.

[illegible]

ისევ „სელტიკი“

გ უ შ ი ნ წ ი ნ გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის“ მინდორზე გაიმართა შოტლანდიის თასის გათამაშების ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სელტიკი“ და „აბერდინი“. მატჩს 120 ათასი მაყურებელი დაესწრო.

გლაზგოელთა უპირატესობა თავიდანვე ცხადი იყო, მაგრამ აბერდინელები მედგრად იცავდნენ თავს და მხოლოდ 42-ე წუთზე გაუშვეს ბურთი. გოლის ავტორია უოლესი.

მეორე ტაიმიც „სელტიკის“ იერიშით დაიწყო და აი, 50-ე წუთზე იმავე უოლესმა მეორე ბურთი გაიტანა სტუმართა კარში — 2:0.

ამის შემდეგ, „აბერდინმა“ მცირე ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ყველაფერი ნათელი იყო: „სელტიკის“ თავდამსხმელები, უბრალოდ, თავს აღარ იწუხებდნენ, ხოლო მცველები ადვილად იგერიებდნენ აბერდინელთა შეტევებს.

„სელტიკი“ მეცხრამეტედ დაეუფლა შოტლანდიის თასს (ეს პრიზი ამდენჯერვე მოიპოვა „გლაზგო რეინჯერსმა“). გაგახსენებთ, რომ „სელტიკმა“ ამას წინათ შოტლანდიის საფეხბურთო ლიგის თასიც მოიხვეჭა. ეს გუნდი მომავალ კვირას, ალბათ, ქვეყნის ჩემპიონობასაც მოიპოვებს და ვინ იცის, 27 მაისს, ლისაბონში იქნებ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასსაც დაეპატრონოს...

(საქ. ინფ.).

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

გაზრობათა თასზე

კილმარნოკი. ამ დღეებში გამოვლინდა ბაზრობათა თასის გათამაშების მეოთხე ნახევარფინალისტი. ეს საკითხი გაირკვა ადგილობრივი „კილმარნოკისა“ და ლაიპციგის „ლოკომოტივის“ განმეორებით მატჩში. პირველი შეხვედრა ლაიპციგში მასპინძლებმა მოიგეს — 1:0, მაგრამ შოტლანდიაში გამართული თამაში მათთვის საბედისწერო გამოდგა. მიურეიმ და მაკილროიმ ორი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს გერმანელთა კარში. სწორედ ბურთების სხვაობამ გადაწყვიტა დავა: ნახევარფინალში გავიდნენ შოტლანდიელები, რომლებიც შეხვდებიან „ლიდს“ (ინგლისი).

მწვავე ბრძოლაში

ბუდაპეშტი. უნგრეთის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ვაშაშის „დიერმა“ მწვავე ბრძოლაში დაამარცხა ადგილობრივი „ფერენცვაროში“ — 3:2.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს.

რედაქტორი მ. პაკაბაძე.

ყოველი მხრიდან

[illegible]

„სვიმინგ უორლდი“ მხარს უჭერს აგრესიას

ეს მაღალი ამერიკელი ჭაბუკი, არწივისებური ცხვირითა და კოხტად დავარცხნილი თმით, ორჯერ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე 1960 წლის რომის ოლიმპიადის დროს. მან მოიხვეჭა ოქროს 2 მედალი — ერთი ბატერფლაის სტილით 200 მეტრზე ცურვაში, მეორე — თავისუფალი სტილით 4×200 მეტრზე ესტაფეტაში. ახლა ეს მედლები მინის ქვეშ, სადღაც ინდიანოპოლისში ინახება და კვირაში ორჯერ მინამოსამსახურე მათ სველი ჩვრით წმენდს.

თვითონ ტროი სადღაა?

ამას წინათ ამ კითხვაზე პასუხი გასცა ამერიკელ მოცურავეთა ჟურნალმა „სვიმინგ უორლდმა“. „აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ლეიტენანტი ტროი კვლავ მოცურავედ რჩება, მაგრამ ახლანდელი შეჯიბრება უფრო სერიოზული ხასიათისაა: სასწორზე ყველაფერია შეგდებული“.

„კვლავ მოცურავედ რჩება?“ „სასწორზე ყველაფერია შეგდებული?“ რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? თურმე, ტროი მონაწილეობს [illegible] აგრესიაში ვიეტნამის წინააღმდეგ. იგი ჩაეწერა ეგრეთწოდებულ ჯუნგლებში ომის წარმოების [illegible] ნაწილში. [illegible] ტებში გაწვრთნილი მკვლელებით დაკომპლექტებული ეს ნაწილები დამსჯელ ექსპედიციებს ახორციელებენ მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამხრეთ ვიეტნამის გათავისუფლების ეროვნული ფრონტის მებრძოლთა წინააღმდეგ.

„ტროიმ გვაცნობა, — წერს შემდეგ ჟურნალი, — რომ გაწვრთნილობა და გამოცდილება ხელს უწყობს მას გადალახოს ჭაობი, რაც აგრერიგად ხშირად ხვდება კაცს ვიეტნამში. ხანდახან ხდება ხოლმე, რომ ცურვა ერთადერთი საშუალებაა გაუვალი წინაღობის დაძლევისა“.

ამერიკული ჟურნალი კმაყოფილია: ოლიმპიურ ჩემპიონს მის ახალ პროფესიაში — მკვლელობაში სპორტული მომზადება გამოადგა. სპორტული ორგანო, რომელიც მოწოდებულია მკითხველს ამერიკელ მოცურავეებზე მოუთხროს, აშკარად ადგას საზიზღარი აგრესიის დაცვის პოზიციას, რასაც ამერიკული იმპერიალიზმი ახორციელებს ინდოჩინეთში.

„მოცურავეებს ვიეტნამში ოქროს მედლები არც ელით, — ცინიკურად აცხადებს „სვიმინგ უორლდი“, — მაგრამ მათთვის იმის შეგნებაც კმარა, რომ ეს ბინძური საქმიანობა ბოლოსდაბოლოს ვინმემ ხომ უნდა იკისროს“.

ასე ლახავს კუბერტენის კეთილშობილურ იდეას ამერიკელ მოცურავეთა ჟურნალი, რომელიც ხოტბას ასხამს ვიეტნამში ბინძურ ომს და ოლიმპიურ ჩემპიონს, რომელმაც სპორტული დიდება მკვლელის სამარცხვინო პროფესიაზე გაცვალა.

როუზი ამშვიდებს რამსეის

ის-ის იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი სერ სტენლი როუზი მექსიკაში ხანგრძლივი ტურნეს შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, რომ მაშინვე შეხვდა ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს, ლონდონის ტურნირის ტრიუმფატორს ალფ რამსეის. ინგლისურმა პრესამ დაწვრილებით უამბო თავის მკითხველებს ორი „ფეხბურთის ვეშაპის“ საუბარზე.

რამსეიმ შეშფოთება გამოთქვა მექსიკის „მაღალმთიანი პირობების“ გამო. კენჭისყრით ინგლისი ითამაშებს მერვედფინალურ მატჩს გვადალახარის სტადიონზე (1524 მ ზღვის დონიდან). გარდა ამისა, რამსეი იმედოვნებს, რომ მისი გუნდი უეჭველად ითამაშებს ფინალურ მატჩში, რომელიც გაიმართება მეხიკო-სიტიში (2268 მ). „ჯერჯერობით თავს ვიმტვრევ იმაზე, თუ როგორ მოვემზადოთ მაღალმთიანი კლიმატისთვის და მექსიკური სიცხისთვის“, — თქვა რამსეიმ.

როუზი ცდილობდა დაემშვიდებინა თანამემამულე. „მე, 71 წლის კაცი, ჩინებულად ვგრძნობდი თავს მექსიკის მთებში, ავრბოდი და ჩამოვრბოდი კიბეებზე. დავათვალიერე სტადიონებისა და დამხმარე სათავსოების ყველა კუნჭული და ვერც სიცხემ და ვერც გაიშვიათებულმა ჰაერმა ვერაფერი მიყო. ნუთუ ახალგაზრდა ინგლისელ ბიჭებს ჩავის შეცვლა დააკლებს რამეს!“.

მაგრამ როუზის იმედიანმა სიტყვებმა, როგორც ჩანს, ვერ დაამშვიდა რამსეი. „წლეულსვე ზაფხულში, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — თავად გავემგზავრები მექსიკაში იმიტომ, რომ ვინც კი იქ იყო, ყველა სხვადასხვანაირად მიყვება იქაურ ამბებს. ერთნი კატეგორიულად აცხადებენ, რომ აკლიმატიზაცია პრობლემა არაა, სხვები უაპელაციოდ ამტკიცებენ, რომ ეს პრობლემაა და ისიც ბოლომდე გადაუწყვეტელი. ამრიგად, მე უნდა დავუჯერო მხოლოდ საკუთარ შთაბეჭდილებებს“.

დ ღ ე ს!

თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგური გიწვევთ სეზონის გახსნაზე.

თქვენს განკარგულებაში იქნება კომფორტაბელური გემი და კატარღები, იალქნიანი, ძრავიანი და ნიჩბიანი ნავები, წყლის თხილამურები...

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ სადგურის დირექციას: ტელეფონი— 6-41-04.

თბილისი
სპორტული
[illegible]

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 2 მაისი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კუბანი“ (კრასნოდარი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 15 ს. ბილეთები გაიყიდება თამაშის დღეს 12 საათიდან.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04044